საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუგავა ელდარ დავითის ძე

გუგავა ელდარ დავითის ძე (დ. 25. XI. 1943, ცაგერი), აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1994).

1971 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინტი. 1978–85 იყო ამავე ინ-ტის ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის ასისტენტი, შემდეგ დოცენტი, 1985–2006 – საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ბოტანიკის კათედრის გამგე, 2006-იდან – საქართვ. სახელმწ. აგრ. უნ-ტის ბიოლოგიის დეპარტამენტის უფროსი და სრული პროფესორი. ეწევა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას.

გ. მუშაობს სას.-სამ. კულტურების მოყვანის უახლესი ტექნოლოგიების შემუშავებაზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების მიზნით. 2003-იდან მონაწილეობს სამეცნ. საგრანტო პროექტებში, უმეტესად კოორდინატორად და ჯგუფის ხელმძღვანელად.

გ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის (8 სახელმძღვანელო, 1 მონოგრაფია, 4 გამოგონება) ავტორია; მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2006).

თხზ.: მცენარეთა ეკოლოგია, თბ., 2003; სამკურნალო მცენარეთა მოყვანა, თბ., 2005; ბოტანიკა, თბ., 2010.